

შოთა ლომინაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ეკონომიკური კრიზისების ისტორია, მიზეზები და პარალელები

კრიზისი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და მოვლენათა განვითარების პროცესში მდგომარეობის ერთბაშად შეცვლას, მკვეთრ გარდატეხას ნიშნავს.²⁷ ეკონომიკური მეცნიერება კრიზისს განიხილავს, როგორც საზოგადოების ეკონომიკური საქმიანობის მიმდინარე პროცესის მნიშვნელოვან რყევას და მოშლას.

თანამედროვე ეკონომიკური აზრი კრიზისების მიზეზად საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის დარღვევას მიიჩნევს. საზოგადოდ ამ ფაქტორის გავლენა ეკონომიკის განვითარების პროცესზე პირდაპირია და არავითარ ეჭვს არ იწვევს. ისტორიაში ცნობილ ყველა ეკონომიკურ კრიზისს წინ სწორედ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის დარღვევა უძღოდა, მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით

მეტად მნიშვნელოვანია იმ გარემოებათა დახასიათება, რომლებიც საზოგადოების განვითარების პროცესში თვით ამ ეკონომიკურ მოვლენას იწვევენ – ანუ რაშიც მდგომარეობს მიზეზის მიზეზი. ვფიქრობთ სადაო არაა, რომ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის დარღვევა თვით არის გარკვეული ბუნებრივი, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების განვითარების შედეგი. თუ ამ ლოგიკას ვაღიარებთ, მაშინ ეკონომიკური კრიზისის ფესვები საზოგადოების განვითარების უფრო სიღრმისეულ მოვლენებში უნდა ვეძებოთ ვიდრე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის დარღვევაა.

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილიპ კეი თვლის, რომ მსოფლიო ისტორიაში პირველ ფინანსურ კრიზისს ადგილი ჰქონდა რომის იმპერიაში, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში.²⁸ კეის მოსაზრება ეფუძნება რომისა და მცირე აზიის ფულადი სისტემების მჭიდრო კავშირს, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად რომის

²⁷ იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული, ნაკვეთი პირველი. თბ. 1990 წ. გვ. 587.

²⁸ <http://neues.tut.by/world/122863.html>

იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. მცირე აზიის, პონტოს სამეფოსთან ომების შედეგად მოიშალა ფულადი სისტემა და დასუსტდა მცირეაზიელი ფული, ფინანსური კრიზისი მოედო მთელს იმპერიას. ამის მაგალითად კეის მოჰყავს რომაელი ფილოსოფოსისა და ორატორის ციცერონის სიტყვა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 66 წელს რომაელებს მოუწოდებდა, პონტოს მეფის მითრიდატე მეექვსის წინააღმდეგ ომისათვის საჭირო რესურსებით მოემარაგებინათ მხედართმთავარი პომპეუსი (pompeius magnus)²⁹ რადგან მითრიდატეს წინა თავდასხმამ გამოიწვია რომაელთა მნიშვნელოვანი ზარალი და იმპერიის მთელი საფინანსო სისტემის კრიზისი.

იმის გამო, რომ კრიზისული მოვლენები ეკონომიკაში თავდაპირველად ფინანსურ ურთიერთობებში ვლინდება, მათ ფინანსურ კრიზისს უწოდებენ, მაგრამ თითქმის უმეტეს შემთხვევაში ასეთი კრიზისები ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავენ და ეკონომიკურ კრიზისებად ყალიბდებიან. ასე რომ ეკონომიკური

კრიზისის ცნება თვით ციცერონის ეპოქისთვისაც არ ყოფილა უცხო. თუმცა ნაკლებსავარაუდოა, რომ მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის პრობლემა იმ დროისათვის განსაკუთრებით აქტუალური ყოფილიყო. ეკონომიკური კრიზისის მიზეზად ციცერონი ცალსახად მიიჩნევს საომარ მოქმედებებს.

ადამიანთა საზოგადოების მთელ ისტორიას წითელ ზოლად გასდევს სხვადასხვა ხასიათისა და სიმწვავის კრიზისული მოვლენები. კაპიტალიზმამდელი ფორმაციებისათვის უპირატესად დამახასიათებელი იყო ნაკლებწარმოების ეკონომიკური კრიზისები, რაც ვლინდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის დეფიციტში. მიწის ხელოვნურად განოყიერების ტექნოლოგიების არარსებობისა და ადამიანთა რიცხოვნობის მუდმივი ზრდის პირობებში, ნაკლებწარმოების პრობლემის გადაჭრის ერთად ერთ გზას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და სახნავ-სათესი მიწის ფართობების ზრდა წარმოადგენდა, რაც სხვათა ტერიტორიების მითვისებისაკენ გუბიძგებდა. სწორედ ამიტომ

²⁹ იხ. Советский энциклопедический словарь. Москва, Изд-во „Советская энциклопедия“ 1989 г. 1049.

უწოდებენ ადამიანთა საზოგადოების ისტორიას – დამპყრობლური ომების ისტორიას. კაპიტალიზმამდელი ისტორიისათვის დამახასიათებელი კრიზისები ლოკალური ხასიათის იყო და ძირითადად ერთი (როგორც წესი ომში დამარცხებული) ქვეყნის ფარგლებს არ სცდებოდა. სუსტ და დამარცხებულ ქვეყნებში კი არც ციკერონები იყვნენ და არც კრიზისულ მოვლენათა გამაანალიზებელი და დამახასიათებელი აზროვნება ყვაოდა, რის გამოც გარდასულ საუკუნეთა ეკონომიკური კრიზისების შესახებ ჩვენი ცოდნა საკმაოდ მწირია.

მსოფლიოს ახალ ისტორიაში საერთაშორისო ფინანსური კრიზისების ერა 1825 წლის კრიზისით იწყება. ამ კრიზისს ვერ ვუწოდებთ ვერც ნაკლებწარმოებისა და ჭარბწარმოების კრიზისს, რადგან იგი პროვოცირებული იყო ლათინურ ამერიკაში 1820-იანი წლების დასაწყისში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესით. კერძოდ ყოფილ კოლონიებში, სადაც ადრე უცხოური კაპიტალი ვერ აღწევდა, შეიქმნა კაპიტალის დაბანდების ნოყიერი ნიადაგი ოქროსა და ვერცხლის საბადოების დამუშავების ფინანსირებისათვის. ამას დაერთო

საექსპორტო ბუმიც, რამაც ინდუსტრიული რევოლუციის მაღალტექნოლოგიური კომპანიების ზრდასთან და ომისშემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელი ფულადი მასის გადიდებასთან ერთად ხელი შეუწყო სპეკულაციური ოპერაციების მომრავლებას ლონდონის საფონდო ბირჟაზე. მზარდმა სავაჭრო დისბალანსმა და ინგლისის ბანკის ოქროს რესურსების ამოწურვამ 1825 წლის ზაფხულში, საფონდო ბაზრის მოშლა გამოიწვია. საბანკო ბაზრის კრიზისი წლის ბოლოსათვის საბანკო პანიკაში გადაიზარდა, რომელიც უმაღლვე გავრცელდა ევროპაზე. საწარმოთა მასიური გაკოტრების შედეგად დაიწყო ეკონომიკური რეცესია. კრიზისი განსაკუთრებული სიმწვავეით დაუბრუნდათ ლათინური ამერიკის ქვეყნებს. იმის გამო, რომ კრედიტები არ იქნა გაგრძელებული, თითქმის მთლიანად შეწყდა ინვესტიციები, შემცირდა საექსპორტო მიწოდებები, რის შედეგადაც მკვეთრად დაეცა ბიუჯეტის შემოსავლები. ლათინური ამერიკის ახლად წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოები აღმოჩნდნენ ტოტალური დეფოლტის მდგომარეობაში, რამაც ისე დასცა მათი

საინვესტიციო ნდობის ხარისხი, რომ მომდევნო სამი ათეული წელი პრაქტიკულად ვეღარ სარგებლობდნენ უცხოური ინვესტიციებით.

თითქმის ანალოგიური პროცესები უძლოდა წინ 1836_38 წლების კრიზისს. კერძოდ, აშშ_ში გაჩაღებულმა ბამბის პლანტაციების ბუმმა ქვეყანაში უცხოური კაპიტალის უხვი შემოდინება გამოიწვია, რომლის უდიდესი ნაწილი ინგლისიდან მოედინებოდა, რამაც კვლავ განაპირობა ოქროს რეზერვების შემცირება და საფონდო ბირჟის მოშლა. ამ პროცესში ნაწილობრივ მოექცა საფრანგეთიც. უკვე 1836 წლის ბოლოს კრიზისის შედეგები განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა აშშ_სათვის. ახალ ორლეანში ბამბის ბიზნესის დაკრედიტების შემცირებამ ნამდვილი საბანკო პანიკა გამოიწვია ნიუ_იორკში, რამაც მნიშვნელოვნად დააზიანა და მთელი წლით შეაფერხა ეროვნული საგადამხდელი_საანგარიშსწორებო სისტემა. ამრიგად, პირველი კრიზისები პროვოცირებული იყო საინვესტიციო პროცესებით. მათგან 1836_38 წლების კრიზისი აშშ_ს ეკონომიკაში დაიწყო. აშშ_ში აიღო სტარტი 1857 წლის მსოფლიო

ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც ელვისებურად გავრცელდა გერმანიის, ინგლისის და საფრანგეთის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. კრიზისის პერიოდში აშშ_ში თუჯის წარმოება 20%-ით, ხოლო ბამბის ნაწარმის მოხმარება 27%-ით შემცირდა. დიდ ბრიტანეთში განსაკუთრებით დაზარალდა გემთმშენებლობა, სადაც წარმოების მოცულობა 26%-ით დაეცა. თუჯის მოხმარება 25%-ით შეიკვეცა გერმანიაში. მნიშვნელოვნად გაუარესდა სამეწარმეო გარემო საფრანგეთსა და რუსეთში, სადაც თუჯის წარმოება შესაბამისად შემცირდა 13 და 17 %-ით, ხოლო ბამბის ნაწარმის მოხმარება 13 და 19 პროცენტით. ყველაფერი დაიწყო აშშ_ში სარკინიგზო კომპანიების მასიური გაკოტრებით, რამაც გამოიწვია ფასების ვარდნა საფონდო ბაზარზე და საბანკო სისტემის კრიზისი. აშშ_სა და ინგლისის მჭიდრო ეკონომიკური კავშირის გამო პანიკამ მოიცვა ინგლისელი ინვესტორები, რის შედეგადაც კრიზისი სწრაფად მოედო მთელ ევროპას და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანას.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების ისტორიაში ყველაზე

ხანგრძლივად ითვლება 1873 წლის ავსტრია-გერმანული კრიზისი, რომელიც 1878 წლამდე გაგრძელდა. წინამორბედი კრიზისებისაგან განსხვავებით, ეს კრიზისი არ დაწყებულა აშშ-ში მაგრამ თავისი წარმოშობით ძალიან ჰგავს მიმდინარე ეკონომიკურ კრიზისს, რადგან იგი დაიწყო ავსტრიასა და გერმანიაში უძრავი ქონების ბაზარზე სპეკულაციური აღმავლობით, რომელიც საფონდო ბაზრის კრახით დასრულდა ვენაში 1873 წლის მაისში. მიუხედავად ამისა კრიზისი მაინც მოედო ამერიკის კონტინენტს. კერძოდ, გერმანიის ბანკების მიერ კრედიტების ვადების გაგრძელებაზე უარის გამო. ხოლო ლათინური ამერიკის ქვეყნებზე იგი გავრცელდა ამ ქვეყნებიდან აშშ-სა და ევროპაში ექსპორტის შემცირების შედეგად.

ოცი წლის შემდეგ განვითარებული, აშშ-ისა და ავსტრალიის, 1893 წლის კრიზისს წინ უძღოდა წმინდა ფინანსური რყევები, კერძოდ, 1890 წლის ბოლოს ინგლისის მსხვილმა ბანკმა, ბარინგმა, თავი გადახდისუნარიანად გამოაცხადა, რასაც წინ უძღოდა არგენტინასა და ურუგვაიში რკინიგზის მშენებლობის დაკრედიტებისას წარმოქმნილი

პრობლემები. ინგლისის ბანკმა პანიკის ჩაცხრობა მალევე მოახერხა, საფრანგეთისა და რუსეთის ცენტრობანკების მიერ მოცემული კრედიტების ხარჯზე განხორციელებული სანაციით, მაგრამ ვერცხლის ბაზარზე თავისუფალი ფასწარმოქმნის წარმოშობამ, რომელიც ინიცირებული იყო შერმანის «ვერცხლის პაქტის» მიღებით, 1893 წელს პანიკა გამოიწვია აშშ-ში. აშშ-ს მიერ ოქროს სტანდარტზე უარის თქმის შიშით ინვესტორებმა მასიურად დაიწყეს ქვეყნიდან კაპიტალის გატანა. ფულის ბაზარზე მიწოდების მკვეთრმა შემცირებამ გამოიწვია საბანკო კრიზისი.

ოქროს სტანდარტის ერის ყველაზე მწვავე კრიზისად მიჩნეულია 1907 წლის ფართომასშტაბიანი კრიზისი, რომელმაც ცხრა ქვეყნის ეკონომიკა მოიცვა და რომელიც პროვოცირებული იქნა ინგლისის ბანკის მიერ 1906 წელს ტარიფის 3,5-დან 6% -მდე აწევით, ოქროს რეზერვების შევსების მიზნით. ამან გამოიწვია აშშ-დან კაპიტალის გადინება რაც 1907 წლის დასაწყისში ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის კრახით დაგვირგვინდა. კრიზისი სწრაფად

მოედო საფრანგეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების ეკონომიკასაც.

1914 და 1920_1922 წლების კრიზისები გამოწვეული იყო პირველი მსოფლიო ომითა და მისი შედეგებით. საბანკო პანიკის ჩაცხრობა მოხერხდა ცენტრალური ბანკების მიერ დროული ინტერვენციის შედეგად.

ეკონომიკური კრიზისების ისტორიაში ყველაზე მწვავე და მსოფლიო ეკონომიკისათვის დამანგრეველი ეფექტით გამორჩეულია 1929_33 წლების დიდი დეპრესია. მსოფლიოს, თითქმის ყველა, სამრეწველო განვითარებული ქვეყნის წარმოების ტემპებისა და ფასების დაცემის შედეგად რიგმა მსესხებელმა ქვეყნებმა ჯერ პროცენტების გადახდაზე განაცხადეს უარი, ხოლო შემდეგ დეფოლტი გამოაცხადეს. რამაც 1931 წლისათვის საერთაშორისო დაკრედიტების შეწყვეტა გამოიწვია. რეცესიამ ძირითადად შეარყია განვითარებული ქვეყნების მრეწველობა. შედეგად სამრეწველო წარმოება შემცირდა _ აშშ_ში 46 %_ით. დიდ ბრიტანეთში 24%_ით; გერმანიაში 41%_ით და საფრანგეთში 32 %_ით. შესაბამისად _ 87; 48; 64 და 60 პროცენტით დაეცა სამრეწველო კომპანიების აქციათა კურსები.

უმუშევართა რაოდენობამ 6 მილიონიდან 30 მილიონს მიაღწია და მათ შორის 14 მილიონი აშშ_ზე მოდიოდა. კრიზისიდან ეკონომიკის გამოსაყვანად აუცილებელი გახდა სახელმწიფოს ქმედითი ჩარევა და რეგულირების ბერკეტების გამოყენება. კონტროლი დაწესდა კაპიტალის გატანისა და საგარეო ვაჭრობაზე. პრიორიტეტულად გამოცხადდა კაპიტალური მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის დაფინანსება, სახელმწიფომ დაიწყო მსხვილი საინვესტიციო პროექტების რეალიზება, განხორციელდა საგადასახადო სისტემის ოპტიმალური რეგულირება, რამაც სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად 1933 წლისათვის შესაძლებელი გახდა დეპრესიის შეჩერება და ეკონომიკის გამოცოცხლების დაწყება. აშშ_ის ეკონომია 30_იანი წლების ბოლოსათვის სრულად იქნა რეაბილიტირებული.

დიდი დეპრესიის განმაპირობებელ მიზეზთან შორის საინტერესოა ე.წ. ფულადი მასის დეფიციტი. კერძოდ ამ დროისათვის ჩამოყალიბდა მანამდე არ არსებული საქონლის მწარმოებელი დარგები. ბაზარზე გამოჩნდა ავტომობილები.

რადიო და სხვა. გაიზარდა საქონლის როგორც ასორტიმენტი ასევე რაოდენობა. ოქროს რეზერვებზე დამოკიდებულების გამორ ფულადი მასისა და შეთავაზებული საქონლისა და მომსახურების ფასების მოცულობას შორის წარმოიქმნა დისპროპორცია, რამაც გამოიწვია დეფლაცია – ფასების დაცემა, რასაც თავის მხრივ მოჰყვა ფინანსური არასტაბილურობა – საწარმოთა გაკოტრება და კრედიტების დაუბრუნებლობა. თავისი ნეგატიური გავლენა იქონია ე.წ. მარჟინალურმა სესხებმა, რომელიც გულისხმობდა კომპანიათა აქციების 10%-იანი გადახდით შესყიდვას. ეს იყო პრაქტიკულად დროში განუსაზღვრელი კრედიტი, რადგან ბროკერს ნებისმიერ მომენტში შეეძლო დარჩენილი ვალის მოთხოვნა, რომელიც 24 საათში უნდა აღსრულებულიყო. 1929 წლის 24 ოქტომბერს, აქციების გამყიდველმა, ნიუ იორკის, ბროკერებმა მასიურად მოითხოვეს მათი განაღდება. ფულადი სახსრების უკმარისობის გამო 16 ათასი ბანკი გაკოტრდა, რომლებიც გროშის ფასად შეისყიდეს საერთაშორისო ბანკირებმა. მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა 1930 წელს იმპორტირებულ პროდუქციაზე

შემოდებულმა მაღალმა საბაჟო გადასახადებმა. პროტექციონისტული ღონისძიებების შედეგად მკვეთრად გაიზარდა ფასები იმპორტირებულ საქონელზე. რის გამო კიდევ უფრო შემცირდა, მოსახლეობის ისეც მწირი მსყიდველობითი შესაძლებლობა. მხოლოდ 30-იანი წლების შუა პერიოდისათვის დაიწყო საბაჟო გადასახადების შემცირება, რის შედეგადაც გამოცოცხლება დაიწყო საერთაშორისო ვაჭრობამ, რამაც პოზიტიური გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკის რეაბილიტაციის პროცესზე.

კრიზისული მოვლენები კვლავ განმეორდა 1957 – 1958 წლებში, რომლებმაც მოიცვა ინგლისი, კანადა, ბელგია, აშშ და ნიდერლანდები. წარმოება 4 %-ით შემცირდა.

თავისი ნეგატიური შედეგებით დიდი დეპრესიის შემდეგ განსაკუთრებულია 1973 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. სხვადასხვა განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის შემცირების მაჩვენებლები 10-დან 22% -ის ფარგლებში მერყეობდა. მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობა და დაეცა მოსახლეობის შემოსავლები.

შემდგომი პერიოდის ეკონომიკური კრიზისებიდან (იგივე 1973 წლის ენერგეტიკული კრიზისი; 1987 წლის აშშ-ის საფონდო ბაზრის კრიზისი; 1994_1995 წლების მექსიკის კრიზისი; 1997 წლის აზიური კრიზისი; 1998 წლის რუსეთის კრიზისი) მეტ_ნაკლებად ტიპურია 1994_1995 წლების მექსიკის კრიზისი, რადგან მას წინ უძღოდა მთავრობის აქტიური საინვესტიციო პოლიტიკა. 1980 _იანი წლების ბოლოდან 1994 წლამდე მექსიკის ეკონომიკაში ინვესტირებული იქნა დიდძალი უცხოური კაპიტალი, რაშიც წარმოების ზრდის არნახული ტემპები გამოიწვია, ინვესტორებმა იგრძნეს ინვესტიციების მოჭარბების ლოგიკური შედეგი – კრიზისის მოახლოება და აქტიურად დაიწყეს ქვეყნიდან კაპიტალის გატანა. 1995 წელს ქვეყნიდან 10 მლრდ. აშშ დოლარი «გაიქცა» რამაც დააჩქარა მოვლენები და საბანკო სისტემა მწვავე კრიზისში აღმოჩნდა.

ეკონომიკური კრიზისების წარმომშობი ფაქტორების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თითქმის ყოველი კრიზისის წინა პერიოდი ხასიათდება აგრესიული საინვესტიციო ბუმით, რასაც მოჰყვება წარმოების სწრაფი ზრდა და ბაზრისათვის ფართო

ასორტიმენტისა და დიდძალი მოცულობის საქონლისა და მომსახურების მიწოდება. წარმოების ზრდის ტემპს თან არ ახლავს მოსახლეობის შემოსავლების შესაბამისი ზრდა, რაც იწვევს დისპროპორციას მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. ამ დისპროპორციის დაძლევის ორი რეალური გზა არსებობს – პირველი, გასაღების ახალი ბაზრების მოძიება და მეორე, ეფექტური მოთხოვნის სტიმულირება.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკა წარმოებისა და მოხმარების ნიშნების მიხედვით შეიძლება დავეყოთ ორ ჯგუფად: პირველი ჯგუფი ესაა განვითარებული სამრეწველო ქვეყნები, რომლებიც უპირატესად მწარმოებლურ ეკონომიკას ავითარებენ, საკმაოდ განვითარებული, მაგრამ შეზღუდული სამომხმარებლო პოტენციალით, რადგან წარმოების ზრდის ტემპი ყოველთვის უსწრებს მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ტემპს. მეორე ჯგუფი ესაა ე.წ. განვითარებადი ქვეყნები – სუსტად განვითარებული წარმოებითა და ასევე მწირი სამომხმარებლო პოტენციალით. ამ ჯგუფის ქვეყნების მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს.

მართალია მათი მოხმარება ელემენტალური მოთხოვნილებების ფარგლებს არ სცილდება, მაგრამ გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია ერთობლივ მიწოდებასა და ერთობლივ მოთხოვნას შორის არსებული დისპროპორციის დაბალანსების პროცესში. ამ ქვეყნებს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ უპირატესად მომხმარებელი ქვეყნები.

1980_იანი წლების დასაწყისიდან კრიზისული მოვლენების სიმწვავის შერბილება შეიძლება ავხსნათ, უპირატესად მწარმოებელი ქვეყნების «ჭარბი» პროდუქციის შეღწევით ისეთი ნაკლებმწარმოებელი ქვეყნის ბაზარზე, როგორც იმ დროისათვის იყო თურქეთი. ამ ქვეყნის ბაზარმა მთელი 10 წლით «შეიწოვა» სამრეწველო განვითარებული ქვეყნების «ჭარბი» პროდუქცია, მაგრამ დროთა განმავლობაში თვით თურქეთიც თითქმის უპირატესად მწარმოებელ ქვეყნად იქცა. 1990 _იანი წლების დასაწყისში გლობალური ეკონომიკური კრიზისი გარდაუვალი იყო, მაგრამ «ჭარბმა» პროდუქციამ ახალი ბაზარი მიიღო აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სახით, რამაც კიდევ

ერთნახევარი ათეული წლით გადაავადა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. შემდეგ მაშველ რგოლად ამ პროცესში შეიძლება ჩინეთი მოვლენილიყო, მაგრამ მოხდა პირიქით. ჩინეთის მწირი სამომხმარებლო პოტენციალის, მაგრამ უზარმაზარი ბაზარი უცხოეთის «ჭარბი» პროდუქციისათვის ფაქტიურად დახურული აღმოჩნდა. უფრო მეტიც, ჩინეთმა თვითონ დაიწყო, და არც თუ წარუმატებლად, თავისი იაფფასიანი პროდუქციით შეჭრა თვით უპირატესად მწარმოებელი ქვეყნების ბაზარზეც კი. ჩინეთის იაფი სამუშაო ძალა იმავდროულად მცირემემოსავლიანი მომხმარებელია, რომელსაც მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების «ჭარბ» პროდუქციაზე მოთხოვნა პრაქტიკულად არ გააჩნია. დისპროპორციამ, მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, მსოფლიო ბაზარზე კულმინაციას მიაღწია და კრიზისმაც არ დააყოვნა.

ეფექტური მოთხოვნის სტიმულირება, შემოსავლების ზრდის დაბალი ტემპის პირობებში მხოლოდ აქტიური (აგრესიული) საკრედიტო პოლიტიკითაა შესაძლებელი. აქტიური

საკრედიტო პოლიტიკა ძირითადად ორი მიმართულებით ხორციელდება. პირველი ესაა წარმოების განვითარების ხელშეწყობა მისი დაკრედიტების გზით, რაც ინვესტიციებში გამოვლინდება და წარმოების საშუალებათა წარმოებისა და მოხმარების საგნების წარმოების ზრდას იწვევს. მეორე მიმართულება ესაა უშუალოდ მოხმარების სტიმულირება სამომხმარებლო კრედიტების გაცემის გზით.

წარმოების საშუალებათა რეალიზაცია ფერხდება არა მისი ჭარბწარმოების არამედ ამ საშუალებათა ექსპლუატაციის შედეგად წარმოებული სამომხმარებლო პროდუქციის ჩაწოლის შედეგად. ამ შემთხვევაში სამომხმარებლო პროდუქციად მოიაზრება არა მარტო პირველადი და ყოველდღიური მოხმარების არამედ ხანგრძლივი მოხმარების საგნები და უძრავი ქონებაც, რომელიც მოსახლეობამ უნდა შეიძინოს თავისი მიმდინარე შემოსავლებით და საშუალოვადიანი დანაზოგებით. სწორედ საშუალოვადიანი დანაზოგების დეფიციტის გამო შეიქმნა კრიზისი უძრავი ქონების

ბაზარზე, რამაც შედეგად გლობალური ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია.

ბანკების აგრესიული საკრედიტო პოლიტიკის გააქტიურება მოსახლეობის ნაკლებშემოსავლებისა და შესაბამისად საშუალოვადიანი დანაზოგების დეფიციტის შევსებას ისახავს მიზნად. ამ დროს ბანკები, მსხვილი საკრედიტო დაწესებულებების ფუნქციას აქტიურად უთავსებენ მევახშეობის ფუნქციასაც. უფრო მეტიც, როცა სამომხმარებლო კრედიტების წილი ბანკების აქტიურ ოპერაციებში სწრაფი ტემპით იზრდება. სოკოებივით მრავლდება არასაბანკო მიკროსაფინანსო დაწესებულებები, ბანკები თავის ოფისებს ხსნიან სავაჭრო ობიექტებში, რომლებიც რამდენიმე წუთში აფორმებენ საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ზოგიერთ შემთხვევაში ტანსაცმლის შესაძენ კრედიტებსაც კი. ისინი ფაქტიურად წვრილ მევახშეებად იქცევიან. იმის გამო რომ ასეთი კრედიტების საპროცენტო განაკვეთები კატასტროფულად მაღალია, ხოლო გაცემა-მიღების პირობები უაღრესად მარტივი, მომხმარებელი ცდუნებას ვერ უძლებს და უნებურად კაბალური გარიგების მხარედ იქცევა. კრედიტის გადახდის დროის დადგომისთანავე

იგი გადახდისუუნარო ხდება, ან მთელი მისი მიმდინარე შემოსავლები ახლო წარსულში აღებული სესხების დაფარვაზე მიიმართება. რეალურ დროში ასეთი მომხმარებელი ერთობლივი მოთხოვნის ფორმირებაში პრაქტიკულად აღარ მონაწილეობს, რაც იწვევს ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას.

კრიზისიდან გამოსვლის უმნიშვნელოვანეს პირობას ბანკების აქტიური საკრედიტო პოლიტიკა მიიჩნევა, მაგრამ არა სამომხმარებლო კრედიტების, არამედ წარმოების რეაბილიტაციის მიზნით საწარმოთა დაკრედიტების განვითარების გზით. ეკონომიკა, რომ მალევე არ დაუბრუნდეს კრიზისულ მდგომარეობას, აუცილებელია უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება ვიდრე ერთჯერადი ინექციებით საბანკო სექტორის გადარჩენა, რასაც ადგილი ჰქონდა 2008_2009 წლებში აშშ-სა და ევროპის მსხვილი სამრეწველო განვითარებული სახელმწიფოების მთავრობების მხრიდან. ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა მდგომარეობს სახელმწიფო რეგულირების საფინანსო ბერკეტების აქტიურად და მიზანმიმართულად

გამოყენებაში, რომელიც უზრუნველყოფს წარმოებული სამომხმარებლო პროდუქციის ჯამურ ფასსა და მოსახლეობის, როგორც სამომხმარებლო პროდუქციის ძირითადი მყიდველის, ჯამურ შემოსავლებს შორის თანაზომადობას.

ფაქტიურად კრიზისიდან გამოსვლა ხდება ორი ფაქტორის მოქმედებით: მოსახლეობის შემოსავლების ზრდით და ფასების შემცირებით. კრიტიკულ სიტუაციაში შემოსავლების ზრდა რა თქმა უნდა არ ხდება მაგრამ ფასები

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად წარმოებისა და შემოსავლების ზრდის დისპროპორციულობისა, მოსახლეობაში მაინც არსებობს დანაზოგები რომელთა დახარჯვისაგან იგი თავს იკავებს კრიზისის მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების შიშით. გარკვეული დროის შემდეგ იწყება ამ დანაზოგების ხარჯვა მით უმეტეს, რომ ფასებიც დაცემულია. ხდება ე.წ. ბაზარზე არსებული ჭარბი პროდუქტის გაწოვა, რაც კვლავ ასტიმულირებს წარმოებას. მაგრამ განაწილებით ურთიერთობებში არსებული დაუბალანსებულობის გამო

კრიზისი ისევ მეორდება და ასე გრძელდება დაუსრულებლად.

კრიზისებს შორის პერიოდების სხვადასხვა ხანგრძლივობა გამოწვეულია მიმდინარე შიგა და გარე მოვლენებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 80-იანი წლების ბოლოდან განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების წარმოებამ შექმნა აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ ქვეყნების დაუსაქონლებელი ბაზარი. პირველ პერიოდში ეს ბაზარი თავისთავად იყო გადახდისუნარიანი, არსებული დანაზოგების გამო, ხოლო შემდეგ შეიქმნა ხელოვნური უზრუნველყოფა საბანკო სესხების მეშვეობით (აგრესიული საკრედიტო პოლიტიკა), მაგრამ ამ ფაქტორს არ შეიძლებოდა დიდხანს ემუშავა, რადგან სესხი მალევე დასაბრუნებელი ხდება. ამ პოლიტიკამ გამოიწვია მომავალი პერიოდის შემოსავლების რეალურ დროში გახარჯვა. მომავალი პერიოდის შემოსავლები მიმართული იქნა (უკვე რეალურ დროში) არა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, არამედ გასული პერიოდის ვალების დასაფარავად. ყოველ რეალურ დროს თავისი მინიმალური მოთხოვნილება გააჩნია, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი (მინიმუმ

პირველადი მოხმარების საგნების ყიდვა), რაც შეუძლებელს ხდის გასული პერიოდის გაბერილი ხარჯების უზრუნველყოფას ანუ დგება აღებული სესხების გადახდის პრობლემა.

ფაქტიურად მოსახლეობა აღმოჩნდება ტოტალური დეფოლტის მდგომარეობაში.

თუ დავაკვირდებით ჩვენს მიერ მოხსენიებული კრიზისების განმაპირობებელ ანუ წინმსწრებ მოვლენებს დავინახავთ, რომ თითქმის ყველა კრიზისს წინ უძღოდა აქტიური საინვესტიციო ბუმი და წარმოების აღმავლობა, რასაც მომენტალურად ამუხრუჭებდა პანიკა საბანკო სფეროში და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ყოველივე ეს კი რეალურად გამოწვეული იყო წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის გამწვანებით, ანუ კრიზისი იღებდა ჭარბწარმოების ფორმას, რომლის არსიც სინამდვილეში ნაკლებმოხმარებაში მდგომარეობს. სახეზე გვაქვს დისპროპორცია წარმოებასა და მოხმარებას შორის. წარმოებიდან მოხმარებამდე კი გზა განაწილებაზე გადის. სწორედ განაწილების არათანაბარზომიერებაა (რა თქმა უნდა მხედველობაში არ

გვაქვს თანაბარი განაწილება) კრიზისის წარმოშობის ობიექტური მიზეზი. საფინანსო ურთიერთობები ზედნაშენურ ურთიერთობათა კატეგორიას განეკუთვნება. მათი მანიპულირება ბაზისში წარმოქმნილი კრიზისის გამომწვევი მიზეზების მწვავე შედეგებს, მხოლოდ მცირე დროით თუ შეარბილებს, თორემ გრძელვადიან პერსპექტივაში ვერანაირად ვერ აღმოფხვრის.

ეკონომიკური თეორიის ანბანური ჭეშმარიტებაა - თუ მიმოქცევაში არ იქნება იმდენი ფული, რა ოდენობის ფასეულობებიცაა სარეალიზაციო, მაშინ მიმოქცევის პროცესი უცილობლად შეფერხდება. ბაზრის ფულით გაჯერება პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ იგი არათანაბარზომიერადაა განაწილებული საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის. მსხვილ მეწარმეთა ანგარიშებზე დალექილი მილიარდები თითქოს არის მიმოქცევაში, მაგრამ ფაქტიურად გამოთიშულია მოხმარების სფეროდან. რეალური მომხმარებელი კი შემოსავლების სიმცირის გამო ფულის ქრონიკულ დეფიციტს განიცდის, რის გამოც მისი მოთხოვნილება არ არის უზრუნველყოფილი გადახდის

უნარით და ვერ იქცევა ვერც მიმდინარე და ვერც საშუალოვადიან რეალურ მოთხოვნად. ამ დეფიციტის საბანკო ღონისძიებებით განეიტრალება მხოლოდ მიმდინარე, მოჩვენებითი ეფექტის მქონე, ფინანსურ მანიპულაციას წარმოადგენს და მას კრიზისის თავიდან აცილება არ შეუძლია.